

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფინანსური სტაბილურობის დეპარტამენტის მაკროფინანსური მოდელირებისა და ანალიზის განყოფილების მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე.

მაკროფინანსური მოდელირებისა და ანალიზის განყოფილება ახორციელებს ფინანსური სტაბილურობის ანალიზს მაკროფინანსურ მოდელირებაზე დაფუძნებით; შეიმუშავებს რისკ სცენარებს; ანალიზის საფუძველზე წინადადებებს აწვდის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტს შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებით. განყოფილება ასევე ახორციელებს საზოგადოებაში ფინანსური სტაბილურობის პოლიტიკის ეფექტური კომუნიკაციისა და მაკროფინანსური ცოდნის ზრდის ხელშეწყობას. განყოფილების საქმიანობა ასევე მოიცავს მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შემუშავებასა და განვითარებას. განყოფილების მოვალეობებში შედის აქტუალურ მაკროფინანსურ თემებზე კვლევითი ნაშრომების მომზადება და გამოქვეყნება.

სამუშაოს სპეციფიკა მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს განავითაროს და წარმოაჩინოს საკუთარი შესაძლებლობები. ორგანიზაციის შიგნით და საზღვარგარეთ ტრენინგებზე მონაწილეობით, აგრეთვე გამოცდილ უცხოელ ექსპერტებთან ურთიერთობით, დასაქმებულს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს მსოფლიოში არსებულ თანამედროვე პრაქტიკას ამ სფეროში და გაიღრმავოს პროფესიონალიზმი.

მოვალეობები:

- მაკროფინანსური მოდელების შემუშავება და მართვა;
- საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა და გაზიარება მაკროფინანსური მოდელების გაუმჯობესებისთვის;
- მაკროეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების კავშირების ანალიზი;
- ფინანსური სექტორის ანალიზის ფარგლებში სტრესს ტესტების მოდელების შესახებ საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა, სტრესს ტესტის მოდელების ადგილობრივ სისტემასთან ადაპტაციასა და ჩარჩოს განვითარებაში მონაწილეობა;
- მდგრადი დაფინანსების ჩარჩოს შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობა;
- ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის მომზადებაში მონაწილეობა;
- ფინანსური და მაკროეკონომიკური სტაბილურობის თემატიკაზე კვლევითი ნაშრომების მომზადება და გამოქვეყნება;
- ქვეყანაში მაკროფინანსური ცოდნის გაღრმავებისა და კვლევების ხელშეწყობისაკენ მიმართულ ღონისძიებებში მონაწილეობა;

მოთხოვნები:

- განათლება: უმაღლესი (სასურველია მაგისტრის ხარისხი ეკონომიკურ სფეროში);
- მუშაობის გამოცდილება: საფინანსო სფეროში მუშაობის 2 წლის გამოცდილება;
- კომპიუტერული პროგრამები: MS Excel, MS Word, MS Outlook, MS Powerpoint - კარგად
- უცხო ენები: ინგლისური ენა - B2; რუსული ენა - B1

სასურველია:

- მაკროეკონომიკის ღრმა ცოდნა;
- DSGE და მსგავს მაკროეკონომიკურ მოდელებთან მუშაობის გამოცდილება;
- MATLAB-თან და მაკრო/ეკონომეტრიკულ პაკეტებთან მუშაობის გამოცდილება.

კომპეტენციები:

- პრეზენტაციის მომზადება, ჩატარება; წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადება;
- შემოქმედებითობა; ცვლილებების ინიცირება და მართვა;
- ანალიტიკური ანგარიშის მომზადება;
- შედეგზე ორიენტაცია.

საკანონმდებლო ბაზა: „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;

კონკურსის ფორმა:

კონკურსი ჩატარდება გასაუბრების სახით.

თანამდებობრივი სარგო: 4141 ლარი (დარიცხული)